ხელშეკრულება N – 47

სახელმწიფო შესყიდვებზე

შემდგომი რეალიზაცია

ქ.თბილისი 02.08. 2019

ერთი მხრივ შპს „საქწიგნი“ (შემდგომში მიმღები), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ომარ კერესელიძის სახით და მეორე მხრივ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (მიმწოდებელი), ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვების ტიპი - გამარტივებული შესყიდვა
1.2. შესყიდვის საფუძველი - გადაუდებელი აუცილებლობით
1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადასცეს მიმღებს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული პროდუქცია საკუთრების უფლებით და მიაწოდოს მასთან დაკავშირებული საბუთები.
1.4. მიმღები იღბს ვალდებულებას, მიიღოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2. პროდუქცია, მისი ღირებულება და ანაზღაურების წესი.

2.1. კლასიფიკატორის კოდი cpv- 22110000 ნაბეჭდი წიგნები.
2.2. სარეალიზაციო პროდუქციას (შემდგომში - პროდუქცია) წარმოადგენს:

| № | დასახელება | რაოდენობა | ღირებულება (ლარში) | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ა. ოქროსცვარიძე - არგონავტების ექსპედიცია, მითი თუ რეალობა? გეოლოგიური არგუმენტები | 5 | 9.00 | 45.00 |
| 2 | თ. ურუშაძე - საქართველოს ნიადაგური ატლასი | 3 | 37.00 | 111.00 |
| | | | | |
| | | | | 156.00 |

2.3. პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ მისი რეალიზაციის შემდგომ, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
2.4. თუ პროდუქციის რეალიზაცია არ მოხდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მიმღები ვადის ამოწურვის შემდგომ მიმწოდებელს წერილობით შეატყობინებს პროდუქციის მდგომარეობის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი უზრუნველყოფს პროდუქციის უკან დაბრუნებას.
2.5. მიმწოდებლის მხრიდან პროდუქციის 5 სამუშაო დღეში უკან დაუბრუნებლობის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იმავე ვადით.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

4. პროდუქციის გადაცემის დრო და ადგილი

4.1. პროდუქციის გადაცემა ხორციელდება მისამართზე: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზირი N14

5. გადახდის წყარო.

5.1. მიმღები მიმწოდებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობას ახორციელებს 100 % საკუთარი შემოსავლების საფუძველზე.

6. დამატებითი პირობები.

6.1. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და დადასტურდეს ორივე მხარის ხელმოწერით.
6.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ პროდუქცია ნადვილად წარმოადგენს მის საკუთრებას, მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, არ არსებობს არავითარი

პრეტენზია ან სარჩელი სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში პროდუქციის უფლებაზე, პროდუქცია არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

6.4. ყოველივე რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, განიხილება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად.

7. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

| „მიმღები“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| შპს „საქწიგნი“ | სსიპ საქ. მეცნიერებათა |
| ს/კ 202888269 | აკადემია |
| თამარ მეფის გამზირი №14 | ს/კ 203851536 |
| გენერალური დირექტორი | ქ. თბილისი, |
| ომარ კერესელიძე | რუსთაველის გამზირი 1 |
| ომარ კერესელიძე | |